

მრავლობითის ფორმის მქონე არაქართული  
გმოგრაფიული სახელების გადმოღებისათვის

უცხოურ საკუთარ სახელთა, კერძოდ, გეოგრაფიულ სახელთა მშობ-  
ლიურ ენაზე გადმოღების ორი ხერხი არსებობს: თარგმნა (სრული ან  
ნაწილობრივი) და ტრანსლიტერაცია. მათი გამოყენებისას არაერთ  
სირთულეს წარმოშობს მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენი-  
ლი ერთეულების გადმოღება.

ვინაიდან ქართულ ენაში არაქართულ გეოგრაფიულ სახელთა დი-  
დი ნაწილი რუსულის გზით შემოდის, ამიტომ ჯერ უნდა გავიხსენოთ,  
თვით რუსული ენა რა გზით ითვისებს და აფორმებს მრავლობით  
რიცხვში წარმოდგენილ უცხოურ ტოპონიმებს და, ამასთანავე, რო-  
გორ აწარმოებს ამგვარ სახელებს თვით რუსული.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ უცხოურენოვანი  
გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც რუსულ დაწერილობაში  
ბოლოვდება **ы** და **и** ხმოვნებზე, ერთგვაროვანი არ არის. ესენია: ერ-  
თი მხრით, მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი ბრუნება-  
დი სახელები და, მეორე მხრით, უბრუნველი სახელები, რომლებშიც  
დაბოლოება **ы** და **и** არ გაიზარება როგორც მრავლობითი რიცხვის  
ფლექსია<sup>1</sup>. ეს გარემოება შეუძლებელს ხდის სათანადო ტოპონიმების  
ქართულზე (ისევე როგორც სხვა ენებზე) გადმოღებას ერთიანი წე-  
სით.

სლავური ენების მკვლევართა შრომებში აღნიშნულია, რომ წყა-  
რო ენიდან ნასესხებია ზოგიერთი სახელწოდების გრამატიკული თვი-  
სება — ტრანსკრიბირებული ფორმა, ჩვეულებრივ, სახელობით ბრუნ-  
ვაში გამოიყენონ (მაგ., Дейвице, Страдонице), ხოლო ირიბი ბრუნვები  
ან წინდებულებიანი ფორმები ისეთნაირად აწარმოონ (в Дейвицах,  
в Страдоницах), თითქოს ამოსავალი ფორმა მრავლობით რიცხვში  
ყოფილიყოს (Дейвицы, Страдоницы)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Л. К. Чельцова, Особенности склонения иноязычных географичес-  
ких названий на -ы, -и: Ономастика и норма, М., 1976, გვ. 164.

<sup>2</sup> Е. И. Мельников, Заметки о морфологии и правописании чешских  
собственных имен в русской передаче: Топонимастика и транскрипция, М. 1964,  
გვ. 133—134.

ა. ბელეცკი წერს: ვის შეუძლია უბასუხოს კითხვას: მხოლოდობით თუ მრავლობით რიცხვშია კავკასიის სანაპიროზე მდებარე ქ. Сочи-ს სახელწოდება? რა თქმა უნდა, ის არ უნდა იბრუნოდეს, მაგრამ ვერც იმას უარგყოფთ, რომ რუსულენოვან სახელწოდებათა ფონზე ის მრავლობითი რიცხვის ფორმად ჩანს. როდესაც ქალაქის სახელწოდება **გაგრა** ცნობილი იყო **Гагри//Гагры** ფორმით, იგი მრავლობითი რიცხვის ფორმად იყო მიჩნეული<sup>3</sup>.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რუსულ ენას ახასიათებს მისთვის გაურკვეველი რიცხვის გამომნატველი ან გარეგნულად მსგავსი ელემენტებით გაფორმებული ტოპონიმების აღქმა მრავლობითი რიცხვის ფორმებად.

იქნებ სწორედ ამის შედეგია, რომ ქართული გეოგრაფიული სახელები **ლანჩხუთი**, **შუხუთი** და მისთ., მსგავსად **გაგრისა**, ხშირად რუსულ ირიბ ბრუნვებში (ზეპირ მეტყველებაში) წარმოგვიდგება в Ланчхутах, в Шухутах ფორმებით. ეს გვაფიქრებინებს, რომ სახელობით ბრუნვაში ეს ტოპონიმები შეიძლება **Ланчхуты**, **Шухуты** ფორმებად იხსენიებოდეს რუსთა მეტყველებაში და ამისათვის გარკვეულ საფუძველს მათ უქმნიდა -**ეთ**-ზე დამთავრებული სახელების ანალოგია. კერძოდ, -**ეთ**- სუფიქსიანი ქართული სახელების — **წყნეთის**, **თელეთის**, **ღუშეთისა** და მისთანათა დაბოლოებად რუსულში ბუნებრივი იყო **-ы** წამოეთქვათ და დაეწერათ, ვინაიდან -**ეთ**-ი დაბოლოება რუსულად გადადის როგორც **-ети**, სადაც წინა რიგის **-и** ხმოვანი არბილებს წინამავალ **т**-ს (**тир, тень**, შდრ.: **тот, тут, тем**) და ქართულ წარმოთქმას უფრო შორდება. იმისათვის, რომ ამგვარ სახელთა დაბოლოებაში რუსულს თავიდან აეცილებინა **-ети** კომპლექსი, მან მსგავსი ტოპონიმები **-ы**-თ გააფორმა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამის შედეგად **-ы** მრავლობითი რიცხვის ნიშნად იქნა გაგებული. და ამგვარი შემთხვევები არცთუ იშვიათია. მაგალითად, როგორც ა. ბელეცკი მიუთითებს, საბერძნეთის... ქალაქი **სალონიკი** (**Салоники**) რუსულში აშკარად აღიქმებოდა როგორც მრავლობითი რიცხვის ფორმა, განსხვავებით ბერძნულისაგან, სადაც ეს სახელწოდება წარმოადგენს მხოლოდობითის ფორმას<sup>4</sup>.

რაც შეეხება უცხოურ გეოგრაფიულ სახელთა გადმოდებას ქართულ ენაზე, სეხსების გზა ძირითადად ორია: უშუალოდ უცხო ენებიდან და რუსულის გზით.

<sup>3</sup> А. А. Белецкий, Лексикология и теория языковознания: (Ономастика), Киев, 1972, გვ. 155.

<sup>4</sup> А. А. Белецкий, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

იმის გამო, რომ არაქართული გეოგრაფიული სახელები არსებითად ამ ორი გზით შემოდის, ერთგვარობას არც შეიძლება ველოდეთ. ამის ერთ-ერთი დამატებითი მიზეზი კი ისაა, რომ ზოგი სახელი ნათარგმნია (სრულად ან ნაწილობრივ), ზოგი კი უცვლელადაა გადმოღებული; ზოგი ტოპონიმი დიდი ხანია ამა თუ იმ ფორმით არის დამკვიდრებული და, მამსახადამე, ტრადიციულიცაა, ზოგი კი შედარებით ახალია.

ა. შანიძე შენიშნავს: „ზოგიერთი სახელი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითობის ფუნქცია აღარ აქვს... განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფიულ სახელებში“<sup>5</sup>.

ტოპონიმის მრავლობითის ნიშნით გაფორმება, მიუხედავად იმისა, რომ თვით აღსანიშნი ადგილი, გეოგრაფიული ობიექტი ერთია, მრავალი ენისათვის არის ნიშანდობლივი. ესაა ტოპონიმთა წარმოების ერთ-ერთი გავრცელებული გზა, რაზედაც ჯერ კიდევ ვ. ნიკონოვი მიუთითებდა<sup>6</sup>. როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. მოროზოვა, „უინაიდან ტოპონიმი ინდივიდუალურ გეოგრაფიულ ობიექტს ასახელებს, ბუნებრივია, მას შეუძლია მხოლოდ ერთი რიცხვის ფორმა ჰქონდეს, ტოპონიმები, ჩვეულებრივ, გამოიყენება მხოლოდობით რიცხვში, იშვიათად—მრავლობითში (**Лихоборы, Мытищи**). ამასთანავე, ტოპონიმი მრავლობითი რიცხვის ფორმით მაინც ერთ ობიექტს აღნიშნავს, განსხვავებით აპელატივებისაგან, რომლებიც მრავლობითი რიცხვის ფორმაში მიუთითებს ერთგვარი საგნების განუსაზღვრელ სიმრავლეს. მრავლობითი რიცხვის ფორმა არსებითად ამა თუ იმ აპელატივის ტოპონიმიზაციის (ტოპონიმად ქცევის) საშუალებას წარმოადგენს“<sup>7</sup>.

სათანადო საცნობარო ლიტერატურაზე (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი<sup>8</sup>, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია<sup>9</sup> და სხვ.) დაყრდნობით, მრავლობითი რიცხვის აფიქსის გადმოცემის თვალსაზრისით გამოიყოფა არაქართულ გეოგრაფიულ სახელთა გადმოღების ორი ძირითადი წესი: 1. ტოპონიმის ლექსიკურ-გრამატიკული ფორმის

<sup>5</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბ., 1973, გვ. 80; ეგვევ აზრია განვითარებული ფ. მაკალათიას სპეციალურ წერილში „მრავლობითის -ებ, -ნ სუფიქსთა ტოპონიმიკური ფუნქციისათვის“, მაცნე, ქართული ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 4, გვ. 115.

<sup>6</sup> В. А. Никонов, Введение в топонимику, М., 1965, გვ. 96.

<sup>7</sup> М. Н. Морозова Вопросы топонимики, М., 1969, გვ. 10.

<sup>8</sup> ე. თ. ფ. რ. ი. ა. გ. გ. ი. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.

<sup>9</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.ტ. 1—11, თბ., 1975—1987 წ.წ., არაქართულ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოღების წესები შეიმუშავა ქსე-სთან არსებულმა სატრანსკრიფციო ჯგუფმა ივ. გიგინეიშვილის, მ. ქაბაშვილისა და კ. გიგინეიშვილის შემადგენლობით.

სრული ან ნაწილობრივი თარგმნა (კალკირება) და 2. უცვლელად — ტრანსლიტერაციის გზით გადმოღება.

მაგრამ ტოპონიმის ფუნქციონირების თვალსაზრისით საინტერესოა და უნდა გაირკვეს, მრავლობითი ფორმით წარმოდგენილი ტოპონიმი რეალურ სიმრავლეს გამოხატავს, თუ ამგვარ ტოპონიმს აღსანიშნი ობიექტის რეალური სიმრავლე არ შეესაბამება. მაშასადამე, გასათვალისწინებელია სემანტიკური მხარე წყარო ენაში. ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზედაც, აღსანიშნი ობიექტი ბუნებრივია თუ ხელოვნური, ე. ი. ობიექტი გეოგრაფიულია თუ მის შექმნაში ადამიანია ჩარეული.

ტოპონიმთა მრავლობითობის გადმოცემის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს სახელის აგებულებასაც (მარტივი, რთული).

1. მრავლობითი რიცხვის აფიქსით ნაწარმოები მარტივი გეოგრაფიული სახელების გადმოცემის ორგვარი ტრადიცია არსებობს:

1) მრავლობითის აფიქსისათვის მიმღებ ენაში სათანადო ეკვივალენტის მისადაგება (ე. ი. თარგმნა) და 2) მრავლობითის ნიშნის უგულებელყოფა, ე. ი. ტოპონიმის ტრანსლიტერაციის გზით გადმოღება.

ა) ევროპულენოვანი ტოპონიმება, რომლებიც ბუნებრივ ობიექტებს აღნიშნავს, ქართულ საცნობარო ლიტერატურაში გაფორმებულია -ებ ნიშნით. მაგ.:

Sporades (ბერძ.)—Спорады—სპორადები (კუნძულთა ჯგუფი ეგეოსის ზღვაში);

Kyklades (ბერძნ.) — Киклады—კიკლადები // ციკლადები (კუნძულთა ჯგუფი ეგეოსის ზღვაში);

Vosges (ფრანგ.)—Вогезы—ვოგეზები (მთები);

Гаты, Гхаты. (ინდ.) გატები, გჰატები (მთები);

Appennino (იტალ.)—Апеннины—აპენინები (მთათა სისტემა);

Cordilleras (ესპან.)—Кордильеры—კორდილიერები (დედამიწის უგრძესი მთათა სისტემა ჩრდ. და სამხრ. ამერიკაში);

Cordillera de los Andes (ესპან.)—Анды—ანდები (მთათა სისტემა სამხრეთ ამერიკაში);

Карпаты (რუს.) — კარპატები (მთათა სისტემა უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, რუმინეთსა და სსრკ-ში)<sup>10</sup>.

ზოგ ავტორს ეს წესი სადავოდ გაუხდია: „არასწორად დამკვიდრდა ქართულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში უცხოური წარმოშობის რიგი მთების (ქედების) სახელწოდებანი მრავლობით რიცხვში. მაგალითად, რატომღაც ვამბობთ და ვწერთ ბესკიდ-ებ-ი, ანდ-ებ-ი, საიან-

<sup>10</sup> БСЕ, тт. 1—30, 3-е изд., М., 1970—1978.

ებ-ი, აპენინ-ებ-ი, კორდილიერ-ებ-ი, ვოგეზ-ებ-ი, მაშინ როდესაც ამის საჭიროება სრულიად არ არის. უნდა იწერებოდეს სინამდვილეში აპენინი, კარპატი, კორდილიერა, ბესკიდი, საიანი და ა. შ.<sup>11</sup>.

მამასაღამე, გვთავაზობენ რეალური სიმრავლის გამოძახებულ ტოპონიმთა რუსული ფორმების უცვლელად გადმოტანას. როგორც ვხედავთ, რეკომენდაციას დასაბუთება არ ახლავს. ლიტონი ვანცხადება — „ამის (ე. ი. თარგმნის. — ვ. მ.) საჭიროება სრულიად არ არისო“ — არგუმენტად ვერ გამოდგება.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა ჩამოთვლილი ტოპონიმი ობიექტების რეალურ სიმრავლეს აღნიშნავს. საქმე გვაქვს ბუნებრივ ობიექტებთან (მთები, მთათა სისტემა, კუნძულები...) და სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია მათი ასევე მრავლობითო რიცხვის ფორმით გადმოღება ანუ თარგმნა, ნაწილობრივი კალკირება. და ამგვარ ვაფორმებას ტრადიციაც უჭერს მხარს სხვადასხვა ენაში. მამასაღამე, ეს საკითხი იმთავითვე სწორად იქნა გადაწყვეტილი.

ყურადღებას იპყრობს ორი გეოგრაფიული სახელის — ფილიპინებისა და ნიდერლანდის სახელწოდებათა ქართული დაწერილობა.

Republika ობილპინას: Republic of Philippines—Республика Филиппини — ფილიპინების სახელმწიფო. იგი კუნძულებზეა განლაგებული, ამიტომ უცხო ენაზედაც მრავლობით რიცხვში იხმარება და ამდენად მისი თარგმნა, მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოღება ბუნებრივია.

რაც შეეხება ნიდერლანდს (Nederland), ჰოლანდიურად ამ სახელს მრავლობით რიცხვში არ ხმარობენ და არც აქვს გამართლება. ხოლო რუსულმა Нидерланды-მ ქართულში გარკვეული გამოძახილი კი პოვა (ზოგჯერ მას ნიდერლანდებსაც უწოდებდნენ), მაგრამ საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდა და ამჟამად გვაქვს, ერთი მხრივ, ნიდერლანდი და, მეორე მხრივ, ფილიპინები, მაშინ როცა რუსულში ორსავე შემთხვევაში მხოლოდ მრავლობითის ფორმები იხმარება.

ბ) ცალკე ქვეჯგუფად გამოიყოფა მრავლობითი რიცხვის ნიშნით ვაფორმებული მარტივი ტოპონიმები, რომელთაც ერთი აღსანიშნო ობიექტი აქვთ. ასეთ შემთხვევაში მრავლობითის აფიქსს მხოლოდღა მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქცია აკისრია. ამდენად ქართულად აფიქსის თარგმნას გამართლება არა აქვს. რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია სპეციფიკური სუფიქსები, რომლებიც ტოპონიმებში გამოიყენება სხვა აფიქსების ნაცვლად თვით სახელის

<sup>11</sup> გრ. ზარდალიშვილი, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., 1979, გვ. 8.

შეცვლის გარეშე. შდრ.: Ухорское — Ухори, Новиково — Новики, Полянская — Полянсково — Поляны<sup>12</sup>... მრავლობითის სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებია: Холмы (უკრაინაში), Шахты (რუსეთში), Печоры (მოლდავეთში), Столбцы (ბელორუსიაში)...

ზემოჩამოთვლილი სახელები ოიკონიმებია (დასახლებული პუნქტების სახელწოდებები) ზოგ შემთხვევაში გვაქვს ამავე სახელების მხოლოდობითი რიცხვის ფორმებიც: Шахта (დასახლებული პუნქტი რუსეთში), Печора (ქალაქი კომის ასსრ-ში, კურორტი უკრაინაში, მდინარე ურალში), Холм (ქალაქი რუსეთში). დღეს კი ისინი დაცლილი არიან პირვანდელი აპელატიური მნიშვნელობისაგან, საკუთარ სახელებად ქცეულან და ამიტომ სხვა ენაზე უცვლელად უნდა იქნეს გადმოღებული. მაგ.: ქ. ხოლმი, ქ. შახტი, ქ. ლივნი, ქ. პეჩორი, ქ. ჩერნოვცი... შესაძლოა ისინი (ისევე, როგორც ტოპონიმთა უმეტესობა) თავის დროზე მართლაც ასახავდნენ რეალობას — ობიექტთა სიმრავლეს და ამით ამართლებდნენ რეალურ სახელწოდებას (ამ ვარაუდს მხარს უჭერენ სათანადო აპელატივებიც).

ზოგი მეცნიერის აზრით კი, დასახლებული პუნქტის სახელწოდების მრავლობითის ფორმა კრებითობაზე, უფრო ზუსტად, კოლექტივზე მიანიშნებს<sup>13</sup>. სოფელი, მიიღებს რა მდინარის სახელწოდებას, იცვლის ფორმას მხოლოდობითიდან მრავლობით რიცხვში გადასვლის შედეგად. შდრ. პიდრონიმები: Химка, Котёл და ოიკონიმები Химки, Котлы და მისთ.<sup>14</sup> აღნიშნავენ აგრეთვე, რომ არის ვარიანტები, რომლებიც ერთი და იმავე მეტყველების ნაწილის ფარგლებში რჩებიან (მაგ., Брехов—Бреховский). არის სხვაგვარი ვარიანტებიც, როდესაც სასაუბრო ზეპირ მეტყველებაში გამოითვლება ნომინკლატურული ტერმინი და ჩნდება პარალელურ ფორმათა წყვილები — დერივაციული სახელი და არსებითი სახელი მრავლობითში (სტანიცა Вешенская შდრ. Вешки, Раздорская — Раздоры, Заплавская — Запавы და ა. შ.)<sup>15</sup>.

<sup>12</sup> З. П. Никулина, Из истории словосъединения названий населенных пунктов: Вопросы географии, сб. 70, 1966, М., 83. 122. §

<sup>13</sup> А. И. Соболевский, Как исследовать место названия?: Известия Отделения русского языка и словесности Российской Академии, т. XXIII, кн. I, П-г, 1918.

<sup>14</sup> З. В. Суганова, Из наблюдений над топонимией Дона: Вопросы географии, сб. 70, 1966, М., 83. 143.

<sup>15</sup> იქვე, 83. 142.

ამავე ჯგუფში მოექცევა გვარებისაგან ნაწარმოები სახელწოდებები: Уваровичი (გვარია Уварович) — უვაროვიჩი, Маневичი (<Маневич)— მანევიჩი, Радошковиჩი (<Радошкович) რადოშკოვიჩი.

ამ პუნქტებში ალბათ მხოლოდ (ან უპირატესად) აღნიშნული გვარის მოსახლეობა ცხოვრობდა. ჩვენში სწორედ ამ გზითაა მიღებული სოფლების სახელწოდებები: თვაურები, თაბაგრები, იარაკულები, ზარიძეები, ზარანძეები, ჩობალაურნი და სხვა მრავალი.

2. მეორე ჯგუფს შეადგენს შესიტყვების ფორმის მქონე ტოპონიმები.

ამ ჯგუფში შემავალ გეოგრაფიულ სახელებში მრავლობითის ფორმით ერთ-ერთი — საზღვრული (ძირითადად მეორე) კომპონენტია წარმოდგენილი და იგი რეალურ სიმრავლეს ასახავს. ცხადია, ამ შემთხვევაში ბუნებრივ გეოგრაფიულ ობიექტებთან გვაქვს საქმე: განიოყოფა ორი ქვეჯგუფი:

ა) შესიტყვებათა ორივე წევრი საკუთარი სახელია: ტოპონიმი + ტოპონიმი ან ანთროპონიმი + ტოპონიმი:

Appennino Abruzzese (იტალ.)—Абруцкие Апеннины— აბრუცის აპენინები (აპენინების მაღალი და ფართო ნაწილი იტალიაში);

Alpi Retiche (იტალ.), Rätische Alpen (გერმ.)—Ретийские Альпы— რეტის ალპები (იტალიაში, შვეიცარიაში და ავსტრიაში);

Alpi Ligure (იტალ.)—Лигурийские Альпы— ლიგურიის მთები (ალპების ნაწილი); ასევე:

Бернские Альпы — ბერნის ალპები (შვეიცარიის ალპები);

Карибские Анды — კარიბის ანდები (მთები ვენესუელაში);

Баварские Альпы — ბავარიის ალპები (ალპების ნაწილი ბავარიაში).

ბ) შესიტყვებები შედგება ტოპონიმისა და აპელატივისაგან (ჩვეულებრივ, გეოგრაფიული ტერმინისაგან):

Камыш-Самарские Озёра—ყამის-სამარის ტბები (ტბების ჯგუფი ყაზახეთში);

Cumberland Mountains (ინგლ.)—Камберлендские Горы—კამბერლენდის მთები (დიდ ბრიტანეთში);

Grampians (ინგლ.)—Грампианские Горы—გრამპიანის მთები (დიდ ბრიტანეთში);

Cordillera Cantabrica (ესპან.)—Кантабрийские Горы—კანტაბრიის მთები (ესპანეთში); ასევე:

**Кастильские Горы** — კასტილიის მთები (ესპანეთში);

**Кардамоновы Горы** — კარდამონის მთები (ინდოეთში);

**Скандинавские Горы** — სკანდინავიის მთები (მთათა სისტემა სკანდინავიის ნახევარკუნძულზე);

**Понтийские Горы** — პონტოს მთები (მთათა სისტემა თურქეთში).

გ) სინტაგმები შედგება ზედსართავისა და საზოგადო სახელისაგან, რომელთაგან ორივე ითარგმნება (ინტერნაციონალური სიტყვა, ცხადია, უთარგმნელია):

**United States of America** (ინგლ.)—Соединенные Штаты Америки—ამერიკის შეერთებული შტატები.

**Great Lakes** (ინგლ.)—Великие Озёра—დიდი ტბები (ტბათა ჯგუფი ჩრდ. ამერიკაში); ასევე:

**Cascade Range** (ინგლ.)—Каскадные Горы — კასკადოვანი მთები (აშშ-სა და კანადაში).

3. მესამე ჯგუფიც შესიტყვებითაა წარმოდგენილი, ოღონდ წყარო ენაში (ამ შემთხვევაში — რუსულში) მრავლობითი რიცხვით გადორმებული გეოგრაფიული სახელები არ აღნიშნავენ რეალურ სიმრავლეს, მიუთითებენ ერთ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტზე — ხელოვნურ ობიექტზე და, ბუნებრივია, მათი თარგმნა მიზანშეწონილი არ არის.

გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

ა) პირველი კომპონენტი არსებითისაგან ნაწარმოები სახელია, ხოლო მეორე — საზოგადო სახელი (გეოგრაფიული ტერმინი):

**Лесные Поляны** — ლესნიე-პოლიანი.

**Пушкинские Горы** — პუშკინსკიე-გორი.

ორივე ოიკონიმი — რუსეთის დაბების სახელები.

ბ) სინტაგმა შედგება ზედსართავისა და საზოგადო სახელებისაგან:

**Новые Горы** (რუსეთში) — ნოვიე-გორი;

**Лысье Горы** (რუსეთში) — ლისიე-გორი

**Большие Дворы** (რუსეთში) — ბოლშიე-დვორი

**Верхние Серги** (რუსეთში) — ვერხნიე-სერგი

**Красные Баррикады** (რუსეთში) — კრასნიე-ბარიკადი

**Великие Мосты** (უკრაინაში) — ველიკიე-მოსტი

**Великие Луки** (რუსეთში) — ველიკიე-ლუკი

**Желтые Воды** (უკრაინაში) — ჟოლტიე-ვოდი



ყველა მათგანი დასახლებული პუნქტების სახელწოდებებია. ორსავე ქვეჯგუფში სავსებით ანალოგიური მდგომარეობაა. ტოპონიმთა თარგმნის ცდები არც გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ერთ გამოცდის — ოიკონიმს **Минеральные Воды** (ქალაქია სტავროპოლის ოლქში). ერთგვარობა მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაში ირღვევა: იხმარება როგორც უთარგმნელი ვარიანტი — **მინერალნიე-ვოდი**, ისე თარგმნილი — **მინერალური წყლები** (იხ. ოლ და ქსე). ამ სიჭრელეს განაპირობებს ობიექტის ტერიტორიული სიახლოვე საქართველოსთან, რის გამოც ტოპონიმი ფუნქციონირებს აპელატივის დონეზედაც (ვინაიდან კურორტზე რამდენიმე სახის სხვადასხვა წყალია, ამიტომ ამ სახელწოდების საზოგადო სახელად აღქმა და შესაბამისად შრავლობით რიცხვში დასმაც **ბუნებრივია**), თუმცა უკანასკნელ ხანებში არაქართული ტოპონიმების ქართულად გადმოღების ამგვარი ტრადიცია საგრძნობლად იზღუდება: „სახელწოდებათა ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ფორმირებაში სულ უფრო იგრძნობა პირველწყაროსის გავლენა“<sup>16</sup>.

\* \* \*

მრავლობითის ფორმით წარმოდგენილ ი-ზე ფუძეგათავებულ ტოპონიმთა რუსულიდან, უკრაინულიდან და სხვა ენებიდან უცვლელად გადმოღებისას დგება მათი მართლწერის საკითხი: კერძოდ, როგორ ვწერთ: **ჩერნოვიცში** მივიღივარ თუ **ჩერნოვცში** მივიღივარ?

ვინაიდან ასეთი სახელები უთანაბრდება ქართულ და არაქართულ, მხოლოდობითში დასმულ -ი ფუძეგათავებულ სახელებს (როგორიცაა, მაგ., **დელი**, **იასი** და სხვ.), ფუძისეული ხმოვნის საკითხიც ანალოგიურად უნდა გადაწყდეს (ე. ი. ამ შემთხვევაში -ი შენარჩუნებულ უნდა იქნეს).

მაშასადამე, ამგვარ სახელთა გაფორმებაც ამ უკანასკნელ ყალიბს უნდა დაემორჩილოს. მაგრამ რიგ შემთხვევაში, განსაკუთრებით, შედარებით გრძელ ერთეულებში შეიმჩნევა ბოლოციდური -ი ხმოვნის დაკარგვის ტენდენცია (მაგ., **მაიაკოვსკში**, **ჰელსინკში**, თუმცა მართებულა **მაიაკოვსკიში** **ჰელსინკიში**), როცა ბოლოციდური -ი ხმოვანი სახელობითის ნიშნად აღიქმება და ამიტომ თანდებულის დართვისას სცილდება ფუძის დანარჩენ ნაწილს. პერსპექტივაც სწორედ ამგვარ წარმოებას უჩანს.

დგება სხვა პრაქტიკული საკითხიც: მრავლობითის ნიშნით გაფორმებული ერთსიტყვიანი ტოპონიმები, რომლებიც ბუნებრივ ობიექტებს

<sup>16</sup> Л. К. Чельцова, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

აღნიშნავს (მაშასადამე, რიცხვის ნიშნის ეკვივალენტებით გამოიხატება), შეიძლება მემორიალურ ანუ მიძღვნიტ სახელებად იქცეს და აწარმოოს სრულიად სხვა ობიექტთა სახელები<sup>17</sup>. მაგ., **Карпаты** გამოყენებულია ფეხბურთის გუნდის სახელწოდებადაც და მაგნიტოფონის საფირმო სახელადაც. როგორ უნდა მოვიხსენიოთ ეს სახელები ქართულად: **კარპატები** თუ **კარპატი**?

საკითხის გადასაწყვეტად უნდა შემოწმდეს სათანადო ქვესისტემა ე. წ. პრაგმონიმებისა და სასაქონლო ნიშნებისა. როგორც ჩანს, ამ სისტემაში მეტია მიდრეკილება წყარო ენის სახელთა უცვლელად დატოვებისადმი (მაგ., საათი „ჩაიკა“, „ზარია“, და მისთ...). ამიტომ სათანადო ყალიბს ვერც მრავლობითის ნიშანი დაარღვევს.

მაშასადამე, მემორიალურ სახელწოდებებში მიზანშეწონილია წყარო ენის ფორმები ვიხმაროთ. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, როგორც ფეხბურთის გუნდის, ისე მაგნიტოფონის სახელადაც უნდა ვიხმაროთ **კარპატი** (და არა **კარპატები**). ამგვარ წესს მიჰყვება ანალოგიური „მიძღვნიტი“ სახელებიც, რომლებიც, თუმცა მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ აღსანიშნი ობიექტის სიმრავლეს არ ასახავს.

---

<sup>17</sup> დიდი ხანია ცნობილია, რომ გეოგრაფიული სახელწოდებები აპელატიურ ლექსიკაში გადადის და ტექნიკურ აპარატურას თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნივთებს (ტანსაცმელს, ქსოვილებს, სასმელებს და სხვ.) აღნიშნავს. საინტერესოა, რომ ამ გადასვლისას წარმოიშობა ახალი ინფორმაცია, რომელიც ხშირად იძლევა წარმოდგენას ნაწარმის წარმოქმნის შესახებ, ჩვეულებრივ, მისი თავდაპირველი გამოშვების ადგილის მიხედვით.